UN GLOBAL COMPACT

Network Georgia

გლობალური
შეთანხმების
საქართველოს
ქსელი

პროგრესის ანგარიში 2018

გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი

ადამიანის უფლებები

1 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და

2 ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.

შრომითი უფლებები

3 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრების და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ.

4 უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა.

5 ეფექტურად უნდა აღკვეთოს ბავშვთა შრომა.

6 უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ.

გარემოს დაცვა

7 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი.

8 თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას.

9 უნდა წაახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.

კორუფციასთან ბრძოლა

10 ბიზნესმა უნდა იმუშავოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვის და მექრთამეობის ჩათვლით.

ვინ ვართ ? რას ვაკეთებთ? როგორ ვაკეთებთ?

კორპორაციული პასუხისმგებლობა საქართველოში წარმატებული ბიზნესის წარსული, აწმყო და მომავალია.

ჩვენ, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, ვცდილობთ, შევქმნათ გარემო, რომელშიც ბიზნესები შეძლებენ ისწავლონ, საკუთარი გამოცდილება გააზიარონ და თანამოაზრე პარტნიორებს დაუკავშირდნენ. ჩვენ ხელს ვუწყობთ ისეთი მრავალმხრივი პარტნიორული კავშირების ჩამოყალიბებას, რომლებიც მომგებიანია როგორც ბიზნესისთვის, ისე საზოგადოებისთვის.

როგორც გაეროს ინიციატივა, ბიზნესებს ვთავაზობთ მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული სტანდარტების შესაბამის სამოქმედო სქემასა და საერთაშორისო გამოცდილებას ადგილობრივი ნიუანსებით.

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოში კორპორაციული მდგრადობის მოწინავე პლატფორმის მუშაობას და მიზნად ისახავს იმის წარმოჩენას, თუ რატომ, როგორ და რა ნაბიჯები უნდა გადადგას ბიზნესმა საკუთარი მდგრადობის განსავითარებლად, ისევე როგორც მის გარშემო არსებულ პოზიტიური ცვლილებების შესატანად.

შემოგვიერთდით და ერთად გადავდგათ ნაბიჯები იმ მსოფლიოსკენ, რომლისკენაც ყველანი მივისწრაფვით.

სალომე ზურაბიშვილი

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელი



გლობალური შეთანხმების შესახებ

გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) მსოფლიოში კორპორაციული მდგრადობის ყველაზე დიდი ინიციატივაა, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკის შექმნას. აღნიშნულის მისაღწევად, გაეროს გლობალური შეთანხმება მოუწოდებს ბიზნესს, რომ:

(1) განახორციელოს საკუთარი საქმიანობა ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოსა და კორუფციასთან ბრძოლის ათი პრინციპის შესაბამისად;

(2) განახორციელოს სტრატეგიული ქმედებები უფრო ფართო საზოგადოებრივი მიზნების განსავითარებლად - ისეთების, როგორიცაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, განსაკუთრებით, თანამშრომლობის და ინოვაციის ნაწილში.

გაეროს გლობალური შეთანხმება აერთიანებს 160-ზე მეტ ქვეყანაში დაფუძნებულ 9 500-ზე მეტ კომპანიასა და, დაახლოებით, 3 000 არასამეწარმეო პირს.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (GCNG) წარმოადგენს ადგილობრივ ქსელს გაეროს გლობალური შეთანხმების პლატფორმისთვის. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მისიაა საქართველოში გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მხარდაჭერა, ისევე როგორც გაეროს განვითარების მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანა.

GCNG-ს სამდივნოს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა).

2018 წელს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის საქმიანობა დაფინანსებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით, ისევე როგორც შვედეთის მთავრობის მიერ.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გამგეობა

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გამგეობა ატარებს კვარტალურ შეხვედრებს ქსელის საქმიანობის რეგულარულად შეფასების მიზნით.

გამგეობის წევრები:

ვალერი ჩეხერია

აჭარა ჯგუფი
აღმასრულებელი დირექტორი
(გამგეობის თავმჯდომარე, 2016-2018)

რუსუდან მეძმარიაშვილი

BP საქართველო
კორპორაციული სოციალური
პასუხისმგებლობის მენეჯერი

ჯორჯ ველტონი

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში
აღმასრულებელი დირექტორი

სალომე ზურაბიშვილი

სიდა
აღმასრულებელი დირექტორი

მალხაზ ძაძუა

მისო კრისტალი
აღმასრულებელი დირექტორი

მაიკლ რ. ქოუგილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
პრეზიდენტი

თინათინ სტამბოლიშვილი

ჯიპიაი ჰოლდინგი
მარკეტინგისა და კომუნიკაციების დირექტორი

კლაუს ლორსენი

ეიპიემ ტერმინალს ფოთი
გენერალური დირექტორი

რას ვსაქმიანობთ?



ქსელის საერთო კრება

2018 წლის 8 ივნისს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები შეიკრიბნენ ქსელის მეორე საერთო კრებაზე დასასწრებად. სხვა საკითხებთან ერთად, წევრებმა იმსჯელეს ქსელის სამოქმედო გეგმაზე როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე, გამოკვეთეს პრიორიტეტული სფეროები შემდგომი წლებისთვის და განიხილეს პლატფორმის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობები. გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ქსელის წესდება, რომელიც განახლდა გაეროს გლობალური შეთანხმების ახალი მოდელისა და ხარისხის სტანდარტების შესაბამისად.

ამასთან, ჩატარდა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გამგეობის არჩევნები და საერთო კრებამ დაამტკიცა ქსელის გამგეობის ახალი შემადგენლობა. გამგეობა დატოვეს შემდეგმა წევრებმა: The Financial, Ltd Georgian Business Zone და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. გამგეობას შეუერთდა ორი წევრი - ეი პი ემ ტერმინალს ფოთის ნავსადგური და ჯიპიაი ჰოლდინგი (GPI Holding).

სამუშაო შეხვედრები

როგორ ხდება ანგარიშების წარდგენა?

გლობალური შეთანხმების წევრები ვალდებულნი არიან, საკუთარი ყოველწლიური საქმიანობების შესახებ წარადგინონ ანგარიშები ათი პრინციპის შესაბამისად. გლობალური ქსელის ადგილობრივი სამდივნო აქტიურად თანამშრომლობს ქსელის წევრებთან ინდივიდუალურ დონეზე და ეხმარება მათ კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიშების მომზადებაში.

2018 წლის 29 ივნისს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა გამართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანიც იყო კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ ანგარიშგების მნიშვნელობისა და მისი დადებითი მხარეების წარმოჩენა, ისევე როგორც მონაწილეთათვის რეკომენდაციების მიცემა ანგარიშების მომზადებასთან დაკავშირებით. პროგრესის შესახებ კომუნიკაციის გარდა, მონაწილეები ასევე გაეცნენ ანგარიშების წარდგენის სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.

.

ბიზნესის სექტორში ქალთა გაძლიერების სამუშაო ჯგუფი

2017 წელს, ბიზნეს სექტორში გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ფარგლებში შეიქმნა ქალთა გაძლიერების პრინციპების სამუშაო ჯგუფი. 2018 წელს სამუშაო ჯგუფი ხუთჯერ შეიკრიბა საკუთარი პროგრესისა და სამომავლო გეგმების გაზიარებისა და ერთობლივი აქტივობების/პროექტების ორგანიზების მიზნით.

2018 წლის 16 თებერვალს, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, სიდამ წევრ კომპანიებს გააცნო ახალი პროექტი, რომლის იმპლემენტაციაზეც გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად მუშაობდა. სიდამ ასევე განმარტა, თუ როგორ შეეძლოთ კომპანიებს პროექტში ჩართვა.

2018 წლის 6 მარტს ჩატარდა ქალთა გაძლიერების სამუშაო ჯგუფის ad hoc კრება, სადაც სამუშაო ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შეხვედრის შესაძლებლობა ლენა ვონკასთან - ნორვეგიული კომპანიის „Lenas HelsePersonell AS“ დამფუძნებელთან და აღმასრულებელ დირექტორთან. მან ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე ნორვეგიაში კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით, ასევე საკუთარ კომპანიაში ქალთა გაძლიერების პროგრამების შესახებ და მიმოიხილა ნორვეგიაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ეროვნული პოლიტიკა.

2018 წლის 30 მაისს სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა განიხილეს კომპანიებში ქალთა გაძლიერების პრინციპების შეფასების პროცესი.მონაწილეებმა შეაფასეს ქალთა გაძლიერების კონსულტანტთა მუშაობა, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ სიდას მიერ ქალთა გაძლიერების პრინციპების პოლიტიკის დონეზე დანერგვაში კომპანიების დასახმარებლად.

2018 წლის 11-12 ივნისს 30-მდე წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მონაწილეობდა სამუშაო შეხვედრაში ბიზნეს სექტორში ქალთა გაძლიერების შესახებ. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების შესახებ, ისევე როგორც იმპლემენტაციის პრაქტიკული მექანიზმების წარმოდგენა. დისკუსია შეეხებოდა დასაქმების ადგილას გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებს.

2018 წლის 13 სექტემბერს ჩატარებული შეხვედრის მიზანი იყო ქალთა გაძლიერების პრინციპების სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ინფორმაციისა და პრაქტიკის გაცვლა, მათ შორის - ქალთა გაძლიერების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესის შეჯამება და სამომავლო სამოქმედო გეგმის მონახაზის ჩამოყალიბება. შეხვედრაზე ასევე წარიმართა მსჯელობა ქალთა გაძლიერების პრინციპებთან დაკავშირებით კომუნიკაციის ეფექტური კამპანიის მნიშვნელობაზე. საერთაშორისო კომუნიკაციების სპეციალისტმა კერძო სექტორში ქალთა გაძლიერების პრინციპების მხარდაჭერის საუკეთესო პრაქტიკა წარმოადგინა.

მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და აქტივობებში

2018 წლის 14-15 მარტს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა, მონაწილეობა მიიღო ღონისძიებათა სერიაში ქალთა გაძლიერების პრინციპების ყოველწლიური ფორუმის ფარგლებში, რომელიც ნიუ იორკში ჩატარდა. ფორუმის მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება იმ ბიზნესინოვაციების შესახებ, რომლებიც მიმართულია ქალთა გაძლიერებისკენ და რომლებსაც აქვს რეალური გავლენა ქალების, კაცების, ოჯახებისა და საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო გლობალური შეთანხმების შტაბბინასა და მულტინაციონალურ კომპანიაში გამართულ დისკუსიებში, სადაც მან წარადგინა საქართველოს მაგალითი და დამსწრეებს გაუზიარა გამოცდილება და ინფორმაცია კომპანიების მიერ ქალთა გაძლიერების პრინციპების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

2018 წლის 23-26 აპრილს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო გლობალური შეთანხმებისა და გლობალური შეთანხმების არგენტინის ქსელის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა სერიაში, მათ შორის, ადგილობრივი ქსელების ყოველწლიურ ფორუმსა და კონფერენციაში - Making Global Goals Local Business. ადგილობრივი ქსელების XVI ყოველწლიურ ფორუმზე განხილულ იქნა, თუ როგორ შეუძლიათ ადგილობრივ ქსელებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობაზე. ღონისძიებაზე, რომელსაც მსოფლიოს ადგილობრივი ქსელების 100 საკონტაქტო პირი და წარმომადგენელი ესწრებოდა, მონაწილეებმა იმსჯელეს ქსელების მართვასა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

26-28 ნოემბერს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ფორუმში „ბიზნესი და ადამიანის უფლებები“, რომელიც ჟენევაში ჩატარდა. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელი სალომე ზურაბიშვილი სიტყვით წარდგა ფორუმის ორ სესიაზე: „ტენდენციები და გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპაში ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემის კუთხით“ (Trends and Challenges in Promoting Business Respect for Human Rights in Eastern Europe) და „ქვეყნების პროგრესი გაეროს „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების“ სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციაში“ (Progress of the States in Implementation of UN Guiding Principles on Business and Human Rights). მან ხაზი გაუსვა ერთობლივი ქმედების მნიშვნელობას ბიზნესის როლის მხარდასაჭერად მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობაში და ისაუბრა პროგრესსა და არსებულ გამოწვევებზე საქართველოში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. გაეროს ფორუმი მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელიც აერთიანებს 2000 მონაწილეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებიდან. გლობალური ქსელის მხარდაჭერით, ფორუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამმა ბიზნესკომპანიამ, მათ შორის, ქსელის წევრებმა (ჯეპრა, სოკარი, ვისოლ ჯგუფი), სადაც მათ ჰქონდათ კონტაქტების დამყარების, პარტნიორობის უზრუნველყოფისა და საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში მონაწილეობის გამოცდილების გაზიარების საუკეთესო შესაძლებლობა.

კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2018

2018 წლის 23 თებერვალს საქართველოში პირველად ჩატარდა კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს ცერემონია. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კლუბი და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, რომლებმაც უმასპინძლეს მთავრობის, ბიზნესის, აკადემიის, საერთაშორისო ორგანიზაციების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოსთვის განაცხადების მიღება გამოცხადდა 2017 წლის ოქტომბერში და სამდივნომ მიიღო 23 განაცხადი 16 კომპანიიდან: აჭარა ჯგუფი, საქართველოს ბანკი, ბია, BP საქართველო, კრისტალი, დიო, ჯეოსელი, ჯიპიაი ჰოლდინგი, ჰაიდელბერგცემენტი, m2, ნატახტარი, ნოვა ტექნოლოჯი, ფოთის პორტი, თბილისი მოლი, ვისოლი.

პროექტები შეაფასა დამოუკიდებელმა და მრავალი დაინტერესებული მხარისგან შემდგარმა კომიტეტმა, რომელშიც საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები შედიოდნენ. შეფასების შედეგად, სამ სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდა სამი გამარჯვებული კომპანია:

საუკეთესო პროექტი ადამიანის უფლებების სფეროში - ეი პი ემ ტერმინალს ფოთი

პროექტი: სატვირთო ავტომობილების მძღოლების ტრენინგი საგზაო უსაფრთხოებაში.

2017 წელს, გაეროს გლობალური უსაფრთხოების კვირეულის ფარგლებში, ფოთის პორტმა წარმოიწყო მასშტაბური პროექტი სატვირთო ავტომობილის 2279 მძღოლის მონაწილეობით. კომპანია წარმოაჩენს პასუხისმგებლობის მაღალ დონეს და მიზნად ისახავს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას დასაქმებულებისა და კონტრაქტორებისთვის, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნებას.

საუკეთესო პროექტი გარემოს დაცვის სფეროში - ნატახტარი

პროექტი: ჩამდინარე წყლის ეფექტური დამუშავების პროცედურა.

პროექტის ფარგლებში, კომპანია იყენებს ჩამდინარე წყლის დამუშავების მაღალი დონის ტექნოლოგიას - ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას, რომელიც სრული ინდუსტრიული ციკლის განმავლობაში წარმოქმნილ ჩამდინარე წყალს ამუშავებს. ამასთან, 2016-2017 წლებში კომპანიამ დასაქმებულების, საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ჩაატარა ტრენინგები და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები ჩამდინარე წყლის დამუშავების შესახებ. კომპანიის პერსონალი ასევე ჩართული იყო ნატახტარის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების დარგვის პროექტში.

წარმატებული პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის - m2

პროექტი: მთაწმინდის ტყის აღდგენა.

პროექტი მიზნად ისახავდა მთაწმინდის ტყის აღდგენასა და 3000 ხის დარგვას. კომპანია სამი წლის განმავლობაში დააფინანსებს მცენარეების მოვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს. პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, კომპანია იწყებს ხანძრის პრევენციის კამპანიას საჯარო სკოლებში. კომპანიის საცხოვრებელ კომპლექსებში კი ხდება სტიქიური კატასტროფების რისკის შემცირებასთან დაკავშირებული პროექტის იმპლემენტაცია.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები აქტიურად მონაწილეობენ თემატურ შეხვედრებში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაძლიერება

სიდამ, როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კლუბისა და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სამდივნომ, წამოიწყო პროექტი, რომლის მიზანია ბიზნესსექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა დასაქმების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში მიღებულ იქნა შშმ პირთა გაძლიერების პრინციპები; აღნიშნული 8 პრინციპი მიზნად ისახავს სამუშაო გარემოში, ბაზარზე და საზოგადოებებში შშმ პირთა გაძლიერებას.

1	კომპანიის აღმასრულებელი რგოლის მიერ პოლიტიკის დონეზე და ყოველდღიურ საქმიანობაში შშმ პირების გაძლიერების მხარდამჭერი მიდგომის საჯაროდ დაფიქსირება
2	შშმ პირებისათვის დასაქმების ადგილის მისაწვდომობა
3	შშმ პირთათვის კვალიფიკაციის ამაღლების და კარიერული წინსვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა
4	შშმ პირებისათვის ღირსეული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა
5	კომპანიის სერვისებისა და პროდუქტების ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებისადმი
6	შშმ პირთა გაძლიერება ბაზარზე, მათი სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერითა და კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვში ინტეგრირებით
7	შშმ პირთა განათლების ხელშეწყობა
8	შშმ პირთა საზოგადოებაში ხილვადობის ხელშეწყობა

სიდას მიერ დაქირავებული კონსულტანტი მუშაობდა ოთხ კომპანიასთან - კარფური, Nexia TA, სოკარი და ვისოლი, რათა მომხდარიყო მათი პოლიტიკისა და ოპერაციების შეფასება და შშმ პირთა დასაქმებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების, რისკებისა და შედეგის განსაზღვრა. შეფასების შედეგის საფუძველზე მიღებულ იქნა რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმები.

მეწარმე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები ჩართულნი იყვნენ სწავლებისა და გამოცდილების გაზიარების პროგრამაში, რომლის მიზანი იყო თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ადგილობრივ მეწარმე ქალთა გაძლიერება. პროგრამის ფარგლებში, ბიზნესკომპანიებმა მენტორობა გაუწიეს 14 მეწარმე ქალს მათ ინტერესებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებზე, როგორიცაა: ფინანსები, ბიუჯეტირება, მარკეტინგი და ა.შ. პროექტის საბოლოო საფეხურზე 10-მა ქალმა მეწარმემ მიიღო მცირე გრანტი 1,300 აშშ დოლარის ოდენობით, საკუთარი ბიზნესის განსავითარებლად.

ცნობიერების ამაღლება კერძო სექტორის ჩართულობაზე სტიქიურ კატასტროფათა რისკის შემცირების პროცესში

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი იყო ერთ-ერთი ინიციატორი სამუშაო შეხვედრისა თემაზე „კერძო სექტორის ჩართულობა სტიქიურ კატასტროფათა რისკის შემცირების პროცესში“, რომლის ფარგლებშიც ქსელის წევრები, სხვა ბიზნესკომპანიებთან ერთად, გაეცნენ სტიქიურ კატასტროფათა მართვის მთავარ საკითხებს, რა დროსაც წარმოჩენილი იყო კავშირი კორპორაციულ პასუხისმგებლობასა და ბუნებრივ კატასტროფათა რისკის მართვას შორის.

ტრენერებმა ხაზი გაუსვეს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას ბიზნესისთვის და ყურადღება გამახვილეს კომპანიების მიერ კატასტროფათა რისკის შემცირების შესაბამისი სისტემების იმპლემენტაციის დადებით მხარეებზე. მეორე მხრივ, კომპანიების წარმომადგენლებმა სხვა მონაწილეებს გაუზიარეს საკუთარი პრაქტიკა სტიქიურ კატასტროფათა რისკის შემცირებასთან დაკავშირებით და შეთანხმდნენ, რომ ბიზნესმა უაღრესად მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სტიქიურ კატასტროფათა რისკის მართვასა და შემცირებაში; შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა კომპანიის ოპერაციებში შესაბამისი სისტემების დანერგვის საჭიროების საკითხი.

კომპანიების მიერ საკუთარ ბიზნესმოდელებსა და პრაქტიკაში ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის ინტეგრაციის მიზნით, შეიქმნა მოკლე დოკუმენტი ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებაზე, სადაც თავმოყრილი იყო შემდეგი ინფორმაცია: (1) რა არის ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება? (2) კერძო სექტორის ჩართულობა ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების პროცესში; (3) ძირითადი ღონისძიებები, რომლებსაც კომპანიებმა შესაძლოა მიმართონ ბუნებრივი კატასტროფების რისკის შესამცირებლად.

კერძო სექტორის ჩართულობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

2018 წლის მაისში სიდამ, როგორც გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სამდივნომ, ხელი შეუწყო საგზაო უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელსაც უძღვება ფოთის პორტი. სამუშაო ჯგუფში ჩართულნი არიან აღნიშნული საკითხით დაინტერესებული პლატფორმების წევრები, - მათ შორის, CENN, ჯი პი აი ჰოლდინგი, ჰაიდელბერგცემენტი, m2, ვისოლ ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა გამართა რამდენიმე შეხვედრა მონაწილეთა ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად. პროექტის იმპლემენტაციის დასაგეგმად, სამუშაო ჯგუფმა გაუკეთა ორგანიზება ტრენერთა ტრენინგს, რომელსაც უძღვებოდა ფოთის პორტის უსაფრთხოების ხელმძღვანელი. ტრენინგი მოიცავდა ინფორმაციას საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ისევე როგორც პრაქტიკულ სავარჯიშოებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს მიღებული საჭირო ზომები და როგორ უნდა მოხდეს კომპანიის პოლიტიკაში უსაფრთხოების პროცედურების ინტეგრაცია. მონაწილეებმა მიიღეს საკუთარ ორგანიზაციებში ტრენინგების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი მასალები და ინსტრუმენტები.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით განხორციელებული აქტივობები

2018 წლის 7 მარტს თბილისში პირველად ჩატარდა კონფერენცია „დავრეკოთ ზარი გენდერული თანასწორობისთვის“, რომელიც წარმოაჩენს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარებისა და ზრდისთვის. თბილისში ჩატარებული ეს ღონისძიება, რომელიც კიდევ 60 სხვა ქალაქში ჩატარებული გლობალური კამპანიის ნაწილია, შედგა მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრის - საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), საქართველოს საფონდო ბირჟის, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) - გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სამდივნოსა და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის პარტნიორობით. ღონისძიებაზე განხილულ იქნა, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ქალთა გაძლიერება კერძო კომპანიებს პროდუქტიულობის უფრო მაღალი მაჩვენებლის მიღწევაში და საბოლოოდ ხელი შეუწყოს ეკონომიკასა და სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლის ზრდასა და განვითარების პროცესს.

2018 წლის 29 მაისს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრები იყვნენ იმ კომპანიებს შორის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სიდას მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში - „ბიზნესის როლი დანაშაულის პრევენციაში“. სამუშაო შეხვედრის დროს დამსწრეებმა მოახდინეს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისათვის დასაქმების შესაძლებლობების იდენტიფიცირება. დისკუსია გაიმართა ბიზნესის როლზე დანაშაულის პრევენციის ნაწილში და განხილულ იქნა სხვა ქვეყნების მაგალითები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რამდენიმე კომპანიამ ზემოაღნიშნული სამიზნე ჯგუფის წევრების დასაქმების ინტერესი გამოთქვა.

ამოქმედდა გლობალური შეთანხმების ვებგვერდი

2018 წელს შეიქმნა და ამოქმედდა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ვებგვერდი (www.globalcompact.ge). ვებგვერდი ორენოვანია (ქართ.-ინგლ.) და შეიცავს ინფორმაციას გლობალური შეთანხმების ხედვისა და მისიის, ისევე, როგორც ინიციატივის 10 პრინციპის შესახებ. ვებგვერდი ასევე შეიცავს ინფორმაციას საქართველოს ქსელის ხელმძღვანელობის და გუნდის შესახებ.

როგორ ვაკეთებთ ამას?

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი საკუთარი წევრების მხარდასაჭერად იყენებს სხვადასხვა მეთოდს:

საერთო კრების შეხვედრები

შეხვედრებს აქვს რეგულარული ხასიათი. მათი მეშვეობით წევრები იღებენ ინფორმაციას პლატფორმის მიღწევებისა და სამომავლო გეგმების, ასევე კორპორაციული მდგრადობის სფეროში არსებული ახალი ტენდენციების შესახებ.

სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი რეგულარულად აწყობს სამუშაო შეხვედრებსა და თემატურ დისკუსიებს ქსელისთვის რელევანტურ თემებზე. წევრებს აქვთ შესაძლებლობა, შეუერთდნენ სამ სამუშაო ჯგუფს შრომითი უფლებების, გარემოს დაცვისა და თანასწორობის მიმართულებით და ჯგუფების შიგნით უფრო ცხადად გამოკვეთონ საკუთარი ინტერესები.

ტრენინგები, სემინარები

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი საკუთარ წევრებს სთავაზობს ტრენინგებსა და სემინარებს, კომპანიის საჭიროებებიდან და ქვეყანაში კონკრეტული თემატიკის რელევანტურობიდან გამომდინარე, რომელთა ფარგლებშიც წევრებს ეძლევათ ექსპერტებისგან ცოდნის მიღებისა და მათი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

მასტერკლასები

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, ლიდერები, ცნობილი კომპანიების ხელმძღვანელები მოიწვევიან ქსელის წევრებისთვის საკუთარი გამოცდილებისა და წარმატების ისტორიების გასაზიარებლად, რაც იძლევა იმის შესწავლის უნიკალურ შესაძლებლობას, თუ როგორ უწყობს ხელს ბიზნესს კორპორაციული პასუხისმგებლობა.

დაჯილდოების ცერემონიალი

ქსელი ყოველწლიურად მართავს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) დაჯილდოების ცერემონიალს, რომლის მიზანია ქვეყანაში პასუხისმგებლიანი და მდგრადი ბიზნესპრაქტიკის ხელშეწყობა. დაჯილდოება კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, რომ:

- ✓ მოიპოვონ კოლეგებისა და ლიდერების აღიარება კორპორაციული მდგრადობის სფეროში;
- ✓ გაზარდონ საკუთარი სანდოობა და რეპუტაცია მომხმარებლებში, პარტნიორებსა და ინვესტორებში;
- ✓ წარმოაჩინონ საკუთარი მოტივაცია, მხარი დაუჭირონ საქართველოში ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას;
- ✓ გავლენა მოახდინონ საქართველოში საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროს განვითარებაზე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით.

მრავალ დაინტერესებულ მხარეზე გათვლილი ღონისძიებები

ქსელი რეგულარულად აწყობს დისკუსიებს მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელთა მიზანია მრავალ დაინტერესებულ მხარეთა პარტნიორობისთვის ხელის შეწყობა, რაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს აძლევს კოორდინაციისა და ერთობლივად მუშაობის გზების პოვნის შესაძლებლობას.

საერთაშორისო ღონისძიებები

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი აქტიურად უჭერს მხარს საკუთარი წევრების მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებში, რომელთა შორისაა: ფორუმი „ბიზნესი და ადამიანის უფლებები“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მრგვალი მაგიდა და ლიდერების სამიტი, რომლებში მონაწილეობისთვისაც ხდება წევრების წახალისება და ხელის შეწყობა.

ადვოკატირება

დისკუსიებზე, საერთო კრების შეხვედრებსა და რეგულარულ კონსულტაციებზე დაყრდნობით, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ეწევა ადვოკატირებას ქსელის წევრებისათვის რელევანტურ საკითხებზე, როგორც მთავრობის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე.

ტექნიკური დახმარება

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი საკუთარ წევრებს სთავაზობს ტექნიკურ დახმარებას ქსელის წევრების საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ ტიპის დახმარებას განეკუთვნება, მათ შორის, გაეროს გლობალური შეთანხმებისთვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშების მონახაზის მომზადება, ასევე დახმარების გაწევა სხვა თემებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადებაში.

ქოუჩინგი

წევრი კომპანიებისთვის, მათი შესაბამისი საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომია თემატური დახმარება/ქოუჩინგი ქსელის წევრებისთვის რელევანტურ სფეროებში მათ მიერვე წამოჭრილ საკითხებზე - მაგალითად, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვის, თანასწორობისა და გენდერული საკითხების მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის და სხვა თემების შესახებ.

ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურება

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სამდივნო ქსელის წევრებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე სთავაზობს ტრენინგებს დასაქმების ადგილას, კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიების ჩარჩოს შექმნასა და მიღებაში დახმარებას, დაინტერესებული მხარეების მართვასა და, მოთხოვნის შესაბამისად, სხვა ტიპის სერვისებს.

UN GLOBAL COMPACT

Network Georgia

www.globalcompact.ge

GCNgeorgia

globalcompact@cida.ge

Sweden/შვედეთი

Sverige